№ 945 ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი. 1896—1899 ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი № 945

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლი.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10-8 საათამდე და საღამოს 6—
დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ...
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.
Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა" გამოვა კვირას, 24 ოქტომბერს.**

## წლის დამლევამდე
## გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება **2** მან.

---

კვირას, 24 ოქტომბერს,
პანაშვიდის შემდეგ დილის 11 საათზე მამადავითის ტაძრის გალავანში (მთაწმინდაზე)
## აკურთხებენ ძეგლს
## დიმიტრი ყიფიანის
სასაფლაოზე
რასაც საყოველთაოდ აუწყებს მისი ოჯახობა.

---

## ქართული თეატრი
## ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს,
დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან
წარმოდგენილი იქნება: ახალი პიესა
**ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით**
## ფული და ხარისხი
კომედ. 3 მოქ. თხზ. ქალბ. აზიანისა.
პირველი დებიუტი ანასტ. აბაშიძისა და ქალბ. აფხაზიშვილისა.
II
## მეფე და პოეტი
ისტორიული სურათი 1 მოქ. თხზ. ბინვილისა, თარგ. ი. ჭყონიასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.
რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

---

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია

## კავკავის

სკოლის მესამე მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექნება 480 მანეთი მხოლოდ იმ პირობით, რომ უსათუოდ გალობა იცოდეს და დასის შედგენა შეეძლოს. (5—4)

---

ქ. ტფილისში
## ექიმი
ნიკო თომას ძე
## ერისთავი
შინაგანის დანერვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის $11-12\frac{1}{2}$-მდე და საღამოს 7—8 საათზე მიიღებს.
მადერის ქუჩა, მამულოვის სახლი.
(10—10)

---

## ექიმი
ე. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16
Докторъ **К. М. Чиковани**
Михайлов., № 16.

---

## ექიმი
## გ. ს. გენცენფილდი
ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.
არჩენს ავადმყოფებს ვენერიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).
ავადმყოფთ ყოველ დღე ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.
კუკიაში მადერის ქუჩა № 5.

---

„უნივერსალ ნი მაღაზია"
იხილე განცხადება უკანასკნელ გვერდზე.

---

მკურნალო ... ამბულატორია
## ს. თოფურიასი
ქუთაისში
საავადმყოფოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყო.

ფუბისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო თვალებ-ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. ზერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. ქოგანი.**
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვისი.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**
*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ

---

# ახალი ამბავი

*** **საინტერესო ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულს თეატრში ფრიად საინტერესო წარმოდგენაა დანიშნული. ადგენენ ქ-ნი აზიანის ახალს პიესას სახელად „ფული და ხარისხი" და ცნობილს დრამატიულ ეტიუდს „მეფე და პოეტს".

ხოლო მთავარი ინტერესი ამ წარმოდგენისა იმაში მდგომარეობს, რომ ამ საღამოს სცენაზე პირველად გამოვა ანასტასია აბაშიძე, ჩვენი ნიჭიერ მსახიობთა ქალი. ამ ახალგაზდა დებუტანტის გარდა პირველად გამოდის სცენაზე ქ-ნი აფხაზიშვილისა.

სრული იმედია, ჩვენი საზოგადოება სიამოვნებით დაესწრება დღევანდელს წარმოდგენას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ქალების საღამო, რადგან ორი ახალგაზდა მსახიობი ქალი გამოდიან სცენაზე და ქალისავე ახალ პიესას ადგენენ.

*** **ეგზარხოსის წაბრძანება.** საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე 23 ამ თვეს წაბრძანდება ქ. სიღნაღში, საიდანაც დაბრუნდება 25 ოქტომბერს.

*** **ქალაქის საბჭოს კრება** დანიშნული წესანდელისათვის გადადიდო 25 ოქტომბრისათვის.

*** ლექციები. 1 ნოემბრიდან დაიწყობა 1 ქალების გიმნაზიის შენობაში სხვა და სხვა საგნების ლექციები, რომლების მოსმენა მსურველთ შეუძლიათ 3 მ. დაწვრილებით პირობები მალე გამოცხადდება.

*** ქალაქის საბჭოთა წეს რიგის შეცვლაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნეს ქალაქის საბჭოთა მოქმედების წეს-რიგი. ქალაქის გამგეობანი იმოქმედებენ მუდამ, მხოლოდ საბჭოთა ყოველ კვირეულ სხდომების მაგივრათ განზრახულია მოწვეულ იქმნას ხოლმე ხმოსნები სესიისათვის, რომლის განმავლობაშიაც მათ უნდა განიხილონ ქალაქის გამგეობის მიერ მთელ წელიწადში დამზადებული მოხსენებანი.

*** დოღი. დღეს 21 ლვინიობისთვეს დიდუბის მინდორზედ დანიშნულია $2^{1}/_{2}$ საათზედ დოღი.

*** ხაშურიდგან გვწერენ 15 ოქტომბერს მოლითსა და მარელის შუა მატარებლის დამტვრევის დროს ყველაზედ უფრო დაშავებულან: მემანქანე ვანტერი, რომელსაც ძლიერ დაზიანებია ცალი თვალი და კონდუქტორები: ტერ-დავიდოვი, საყვარელიძე და კიკნაძე. ყველა ესენი რკინის გზის საავადმყოფოში მოიყვანეს და იმედია მალე მორჩებიან.

*** ქ. ფოთიდგან იწერებიან, რომ 19 ს ამ თვეს იქ ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილებით დაიწყო საქმის განხილვა იმ გერმანელთა მატროსებისა, რომელთაც ბრალდებათ მკვლელობა. დაწვრილებით ამბავს დროზედ შევატყობინებთ.

*** ახალი წიგნთ-საცავი. კვირას, 24 ოქტომბერს, ს. პატარძეულში აკურთხებენ ამ სოფლის წიგნთ-საცავისათვის ახლად აგებულ შენობას. ეს შენობა აავო თავისს ხარჯით ადგილობრივმა მცხოვრებმა ვაჭარმა პავლე ყუშიტაშვილმა თვით წიგნთ-საცავიც ყუშიტაშვილისავე მეცადინეობით იქმნა სოფელ პატარძეულში დაარსებული.

*** ქალაქის საკრებულოს ანგარიში. საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ დაამთავრა ქალაქის მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვა. როგორც ისმის, ხარჯთ-აღრიცხვაში საკრებულოს 100,000 მან. დეფიციტად ნაანგარიშია, რადგან ეს ფული გამოკლებულია იმ შემოსავლიდგან, რომელიც ქალაქს ცხენის რკინის გზისათვის მოპოვებულ საგნების გაყიდვის შემწეობით მიღებული აქვს.

*** ქუჩების დაგვაზედ. ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ პოლიციას ჩაბარდეს ქუჩის დამგველებზედ უფროსობა და აგრეთვე ქალაქის ეტლი.

*** საჭარო განკარგულება. ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდ. ალმ. ბ. კოვალიოვმა წინადადება მისცა ბოქაულთ, მხნე ღონისძიებანი იხმარეთ იმ ჩარჩების საწინაალმდეგოდ, რომლებიც სოფლის ნაწარმოებს ჰყიდულობენ ქალაქში და ქალაქს გარეთ. ჩარჩებზე თვალყურის დასაჭერად უნდა დანიშნულ იქმნან ცხენოსანი დარაჯები. პოლიციის მოხელეთ დაევალათ ოქმი შეუდგინონ ჩარჩებს და პასუხისგებაში მისცენ, თუ ვინიცობაა მათ სოფლის ნაწარმოები იყიდეს ბაზარში ვაჭრობის გათავებამდე.

*** უბედურება. 18 ამ თვეს, დილის 11 საათზედ, ტფილისში ლაზარევის ქუჩაზედ მიდიოდა ვიღაც კაცი, უცბათ ფეხი წაუსხლტა და წაიქცა. წაქცევის დროს პირში მუშტუკი ეჭირა. მიწაზედ რომ დაეცა, ეს მუშტუკი სასულეში ჩაუვარდა, რომლისაგანაც გარდაიცვალა. დღემდის ვერ გაუგიათ ეს ადამიანი ვინ იყო.

*** ახალი არჩევნები რადგან ნოემბრის დამლევს გადის ქალაქის გამგეობის წევრთა მ. ს. შესტაკოვისა და თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სამსახურის ვადა, ამის გამო გამგეობის წევრთა ახალი არჩევნები დანიშნულია 8 ნოემბრისათვის.

*** გაზეთების საქმეზედ. გზათა სამინისტრო 1,500,000 მანეთის გადადებას თურმე აპირებს კავკასიაში უკვე დაწყებულ გზათა მუშაობის განსაგრძობად.

*** სამეურნეო გამოფენაზედ. კავკასიის სამეურნეო-სამოსწავლო გამოფენაზედ ამ ჟამად ჰმუშაობს ორი საშინაო საქსოვი დაზგა (დგიმი), რომლებზედაც მზადდება სხვა და სხვა გვარი ქსოვილი. ეს დაზგები გამოუფენია ზემო-ჭალის სკოლას და ზედ ჰქსოვენ ამავე სკოლის მოსწავლე ქალები

*** როგორც ცნობებიდგან სჩანს, წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველ კურსზედ მიღებულ იქმნა სულ 757 კაცი: ისტორიკო-ფილოლოგიურზედ—67 კაცი, მათემატიკურზედ—173, საბუნების-მეტყველოზედ—156, აღმოსავლეთის ენებზედ—71, იურიდიულზედ—290 და 10 კაციც თავისუფალი ყურის მგდებელია.

*** ახალი განკარგულება. საერო სასწავლებელთა დირექტორმა წინადადება მისცა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, რომ საქალაქო სასწავლებლებში თითოეულ კლასისათვის კვირაში არა უმეტეს 24 გაკვეთილისა, ე. ი. დღეში მხოლოდ 4 გაკვეთილი დანიშნეთ.

**სოფ. ველისციხე** (ქიზიყი). მეფურგუნეების თავგასულობა. გულით რომ გნებავდეთ კახეთიდამ ვერას გამოგზავნით იმათ შიშით, რადგან დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თავანკრათ არაფერს მიიტანენ დანიშნულს ალაგას და თუმცა მიიტანენ, მაგრამ ან ნაკლებს ან სულ სხვა რამეს; თანაც რომ მოსდევდეთ იმდენს ეცდებიან, რომ თვალიდან მოგიშორონ და მოგპარონთ რამე. აი ამისთანა მაგალითი სოსიკო მაჭავარიანს მოსვლია: ამ თვის ხუთში წამოსულა სოფ. ახაშნიდგან ოჯახობით (ფურგუნით რასაკვირველია) თავიანთთვის წამოუღიათ ორი ტიკი ღვინო ნათესავებისთვის გადასაცემად გზაში ყველგან სადაც თვითონ ისადილებდა მეფურგუნეებსაც უმასპინძლდებოდა, რა არის გზაში კარგათ გვამგზავრონო, მაგრამ გაუმაძღარმა მეფურგუნეებმა ის არ იკმარეს და ივრის ხიდზე სულ სხვანაირათ მოიქცნენ სხვა ამხანაგებთან ერთათ. იქ ისადილეს და ცხენები იქ შეასვენეს. მაჭავარიანებმა მოინდომეს ივრის ხიდისკენ გავლა. ცოტა ხანს უკან სოსიკო მაჭავარიანმა შენიშნა შორიდამ რომ ფურგუნზე ვიღაცა ხტუნაობდა, მაშინვე ფურგუნისკენ გამოეშურა რომ მოახლოვდა დაინახა ერთი მათგანი კოკით წყალს მოაჩბევინებდა და რომ დაინახა პატრონი, უკანვე გაიქცა. ფურგუნთან რომ მივიდა, ფურგუნ ქვეშ დაინახა ღვინო დაქცეული. ავიდა ფურგუნზე და ნახა მეფურგუნე, რომელსაც ხელში ტიკი ეჭირა და პირში ენა აღარა ჰქონდა და იმასთან ერთად სხვებსაც და უნდოდათ ტიკი წყლით აემსოთ. სასურველია ყურადღება მიაქციონ იმათს თავგასულობას ვისიც ჯერ არს.

ვლადიმერ მაჭავარიანი

## უხორცო საჭმელების მომზადება.

### ნაწილი მესამე

შემდეგი *)

99. პიროჟნები ნადებით. აიღე[თ] $^{3}/_{8}$ გირვანქა ერბო, გაურიეთ $^{1}/$[...] გირვანქა შაქრის ნაფხვენი და ა[...] წმინდათ დანაყილი მწარე ნუშ[ი] და $^{1}/_{8}$ გირვანქა ფქვილი $^{1}/_{3}$ გირვანქა ნალები, ცომი იმისთანა მაგარი უნდა იყვეს, რომ შეიძლებოდეს დანის ყუის სისქეთ გათხელება, ამოსჭერით ფიგურები, წაუსვით კვერცხი, მიუმატეთ ნუში, შაქარი და გამოაცხეთ, როდესაც გამოცხვება გამოიღეთ გააციეთ და ისე მიიტანეთ სუფრაზედ.

100. პიროჟნი მთხარშული კრემით. აიღეთ ექვსი კვერცხის გული, ექვსი კოვზი შაქრის ფხვნილი, ნახევარი ლიმონის ნაფხეკი, სულ ერთათ გათქვიფეთ ვიდრე კვერცხის გული გათეთრდებოდეს, მიუმატეთ ორი კოვზი გამდნარი ერბო, ხუთი კოვზი ფქვილი, გათქვიფეთ ექვსი კვერცხის ცილა და ესეც აურიეთ იმ მასალაში; ქალალდის ფორმას წაუსვით ერბო, გადაიღეთ ზედ მომზადებული მასალა, გადაასწორეთ შედგით ფეჩში, როდესაც პიროჟნი ნახევრათ მზათ იქნება, გამოიღეთ ფეჩიდამ დასჭერით ოთხ კუთხივ ნაჭრებათ, შედგით ისევ ფეჩში ვიდრე კარგათ არ გამოცხვება; მერე გამოიღეთ პირები შემოუსწორეთ დანით ძირში ამოსჭერით პატარა ნაჭრები და მის მაგიერად ჩაულაგე[თ] მოხარშული კრემი, ისე რომ კრ[ე]მი არა ჩანდეს, შემდეგ შედგი[თ] თბილ ფეჩში ცოტა დააცადეთ, გამოიღეთ დაალაგეთ სუფთა სალფეტკით გადაფარებულ მათრათზედ, გააციეთ და ისე მიიტანეთ სუფრაზედ.

ბურბუშელები:

101. ბურბუშელა კვერცხის გულით. აიღეთ რამდენიც გნებამდეთ კვერცხი, თავები ჩაუმტვრიეთ ცილა[ც] გადმოწურეთ, ისე რომ გულში აღარ შეჰყვეს ცილა, გული ჩაასხით ჯამფილაში, კარგათ გათქვიფეთ, ჩოუკიდეთ პირველი სორტის ბულკის ფქვილი, მოზილეთ მაგარი ცომი, ზემოდამ გადაafარეთ სალფეტკი დადგით თბილ ადგილას, დააცადეთ გაფუვდე[ს] ცომი, როდესაც ცომი აიწევა გაფუვდება, ამოიღეთ ისევ მოზილეთ გაათხელეთ ლავაშებათ, დასჭერით სიგრძეზე ზოლებათ ოროლი თითის სიპრტყეთ, თითო[ე]ულ ზოლს შუაგული ჩაუჭერით დანი[თ] და ერთი ბოლო ამოუყარეთ გახ[ვ]რეტილ გულში ან კიდევ სამ-სა[მ] ზოლი გადახლართეთ ერთმანეთ[ში]

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 95[...]

მოხრაკეთ ერბოში ან ახალ ღორის ქონში, როდესაც ბურბუშელა ორივე მხრიდამ დაწითლდება, ამოიღეთ მათრათზედ მოაყარეთ დაფქვილი შაქარი, გააციეთ და ისე მიიტანეთ სუფრაზედ

102. ბურბუშელა მეორე ნაირად. აიღეთ ორი კვერცხი, მეოთხედი სტაქანი წყალი, კოვზ ნახევარი არაყი ან რომი, მეოთხედი ჩიქა შაქარი, ორ ჩიქა ნახევარი ფქვილი, მოზილეთ მაგარი ცომი, გაათხელეთ დასჭერით ზოლებათ სიგრძლივ, შემდევ მოიქეცით ისე, როგორც იყო ნათქვამი 101 №-ში.

ნატალია დარეჯანაშვილისა

(შემდეგი იქნება)

# წვრილი ამბავი

ქალი თუ ვაჟი. ერთს ფრანგულს ჟურნალში ყორე მესსუარმა დაჰბეჭდა ამას წინად საყურადღებო ცნობები ვინმე სავალეტ დე-ლანჟის შესახებ, რომელიც სიცოცხლის დროს ქალის ტანისამოსს იცვამდა და ყველას ქალიც ეგონა, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი მამაკაცი ყოფილა. დაბადებულა დე-ლანჟი წარსულ საუკუნეში, სახელდობრ 1786 წ., ხოლო გარდაცვლილა 1858 წ. პირველად დე-ლანჟს იხსენიებს გრაფინია დაში თავის წერილებში. „ვერსალში სხვა ემიგრანტთა შორის,—სწერს გრაფინია,—სცხოვრობდა ერთი ქალიც, რომელიც ყველას ყურადღებას იქცევდა იმით, რომ არავინ იცოდა ვინ იყო და საიდან იყო. ცხოვრებითაც ეს ქალი უცნაურად სცხოვრობდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ ამ ქალს ცხოვრების სახსარი არაფერი გააჩნდა, მაგრამ მაინც სიღარიბე მამაცად უძლებდა და არავის შესჩიოდა. სახლში არავინა ჰყავდა და ყოველგვარ საქმეს თვითონ აკეთებდა. დილით ადრე დგებოდა, სურსათის სასყიდლად მიდიოდა და შემდეგ საღამომდე შინ ჩაკეტილში იჯდა და გარეთ არ გამოდიოდა. საღამოთი სადმე სტუმრათ მიდიოდა. ამ ქალს ბევრი ნაცნობები ჰყავდა; რადგანაც ცნობილს გვარს ატარებდა, ყველა ოჯახის კარები ღია იყო იმისთვის. ხმა და მიხვრა-მოხვრა ამ ქალს კაცისა ჰქონდა, სიარულით ხომ ნამდვილ ჯარის-კაცივით დადიოდა. ამბობდნენ, წვერიც ეზრდებაო, მაგრამ ძალიან ხშირად იპარსავსო“.

აი სწორედ ეს მადმუაზელი ყოფილა სავალეტ დე ლანჟი. დელანჟს შემოწმებული ქაღალდები ჰქონდა თურმე, საიდანაც სჩანდა, რომ იგი უკანონო ქალი ყოფილა გრაფის სავალეტ დელანჟისა, სახელად ჰრქმევია ჟენნი. იმისი მამა მეფის ხაზინის მცველი ყოფილა რევოლიუციამდე; რევოლიუციის დროს კი საფრანგეთიდან გახიზნულა და მხოლოდ რამდენისამე წლის შემდეგ დაბრუნებულა, მაგრამ მალე გარდაცვლილა. მამის სიკვდილის შემდეგ ჟენნი დიდ სიღარიბეში ჩავარდნილა. უკანასკნელი ხუთი წლიწადი ვერსალში გაუტარებია, სადაც ხშირად ხედავდნენ ხოლმე ქუჩაში. ბევრ მოხუცს ეხლაც ახსოვს ეს უცნაური ქალი თავზე ყოველთვის მეტად განიერ შლიაპას იხურავდა თურმე. ყველა ჰკვირობდა იმის სახის მამაცურ და ვაჟკაცურ გამომეტყველებას. ბოლოს დროს ხშირად ავად ხდებოდა ხოლმე და ექიმებიც კი დადიოდნენ იმასთან. დღესაც არავინ უწყის, ექიმებმა იცოდნენ თუ არა იმის საიდუმლოება.

1858 წელს, აპრილის უკანასკნელს რიცხვებში, მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ მადმუაზელ დე-ლანჟი გარდაიცვალა. როდესაც მიცვალებულის გვამის გაბანას შეუდგნენ, დაინახეს, რომ დე ლანჟი დედაკაცი კი არა, მამაკაცი ყოფილა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამ ამბავმა ყველანი გააკვირვა. უფრო ჰკვირობდნენ იმას, თუ დე-ლანჟი როგორ ახერხებდა მთელ თავის სიცოცხლეში ნაცნობების მოტყუებას. როდესაც მიცვალებულის სადგომში დაკეტილი ყუთები გახსნიკეს, ამ ყუთებში აფარებული ფული იპოვნეს, სულ 150 ათასი ფრანკი აღმოჩნდა. ამას გარდა იმის სახლში მრავალი მეტად ძვირფასი ნივთიც იპოვნეს.

დღემდის გამოურკვევლად დარჩა, რამ აიძულა ეს კაცი ქალის ტანისამოსი ეტარებინა და ყველასათვის ქალად ეჩვენებინა თავი. ამის გამო ბევრს რასმეს ამბობდნენ და ჰლაპარაკობდნენ მაშინ. ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ამ ვითომდა „ბარიშნას“ ნაცნობებმა და გულშემატკივრებმა რამდენჯერმე გათხოვებაც კი მოუნდომეს, როგორც იმის წერილებიდან აღმოჩნდა, თვითაც ეარშიყებოდა თურმე სხვა და სხვა კავალერებს. 1820 წელს ჟენნი სავალეტი შეჰყვარებია ვინმე დე-ფრონტე დელეზევერს. ამ კაცს სიყვარული გამოუცხადებია და „ქალიც“ დათანხმებულა. საქმე იქამდის მისულა, რომ ნაცნობები „საცოლეს“ ულოცავდნენ კიდეც. მაგრამ სავალეტს ჯვარის წერამდე აღარ მიუყვანია საქმე, რადგან ეშმაკობა უხმარია და საქმროს თვით გამოუცხადებია უარი. საცინელი ის არის, რომ შემდეგ ყველანი საქმროს ჰკიცხავდნენ, მოატყუა, შეარცხვინა საწყალი „ქალი“, სახელი წაუხდინა და თავი გაანებაო.

10 წლის შემდეგ ჩვენმა „ბარიშნამ“ ხელახლა განიზრახა „გათხოვება“. ამ ხანად უ ფრო უკეთესი საქმრო აღმოუჩნდა—კაპიტანი დე ლასიპიერო. კაპიტანი ძალიან მდიდარი კაცი ყოფილა და როგორც ამბობენ „საცოლემ“ კარგა ბლომად ფული დასტყუა. ბოლოს სავალეტიმ ისიც მოიშორა თავიდან. საზოგადოდ ამ უცნაურ კაცს არისტოკრატებში დიდი ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონდა. დარჩენილ წერილიდანა სჩანს, რომ იგი ხშირად დადიოდა ბევრ გრაფის, ბარონის და თავადის ოჯახში ად ისე იყო მიღებული იქ, როგორც შინაური

# სხვა-და-სხვა ამბავი

სახლების გადატანა ამერიკაში ერთი ქალაქიდან მეორეში. ამერიკელებს აქამდის სახლები ერთი ქუჩიდან მხოლოდ მეორეში გადაჰქონდათ, ეხლა კი, როგორც გაზეთები იუწყებიან, ერთი ქალაქიდან მეორეშიაც გადაავქთ. ამას წინად, სხვათა შორის, ქ. ჯემინფორდიდან ქ. ალიანსში გადაუტანიათ რკინის გზით სასამართლოს მთელი შენობა. ეს ქალაქები 30 მილით არიან ერთმანეთზე დაშორებულნი. შენობა ორ სართულიანი ყოფილა. საძირკვლიდან აუღიათ, რკინის გზის სადგურზე მიუტანიათ და იქ ლიანდაგზე გამართულ ოთხ დიდ ბაქანზე დაუდვიათ. ექვსის საათის შემდეგ ეს ბაქანი სახლიანათ ორთქლმავალს ქ ალიანსში ჩაუტანია.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**პეტერბურგი.** ჰოლანდიელთა აქაურმა კომიტეტმა, რომელსაც აზრად ისა აქვს, რომ დაჭრილ ბურებს დახმარება აღმოუჩინოს, გამოაქვეყნა მოწოდება შემწეობის შესახებ, რადგანაც ბურები ძალიან საჭიროებენ სამკურნალო დახმარებას, დაჭრილთა მოვლას და ომში დაღუპულთა ცოლშვილის გამოკვებას.

**ლონდონი.** 18 ოქტომბერი, „რეიტერის სააგენტო“. „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ჰაერონავტთა რაზმმა ქალაქის თავზედ (?) აუშვა ჰაეროსტატი, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდა იმის გამორკვევა, სად არის მოწინააღმდეგე დაბანაკებული.

„Times“-ს დეპეშით ატყობინებენ კაპშტადტიდგან, რომ როგორც ლედი-სმიტიდგან იუწყებიან, დღეს ინგლისის მოწინავე რაზმებს შეტაკება ჰქონდათო ბურებთან. ბურები სულ 16,000 უნდა იყვნენ, თუ მეტი არა და ლედი-სმიტის ჩრდილოეთით არიან დაბანაკებულნი. ერთი რაზმი ქალაქის ჩრდილოეთისკენ გაემართა. უთუოდ იმისთვის, რომ რკინის გზის ლიანდაგი აშალოს ლედი-სმიტსა და კოლენზოს შორის. როგორც ამბობენ, კრიუგერი გლენკეშია.

იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ, რომ კიმბერლეიში საქმე კარგად არისო. სურსათი ქალაქს ბევრი მოეპოებაო.

**ლედი-სმიტი.** 17 ოქტომბერი. „რეიტერის სააგენტო“. ბურები გარს ერტყმებიან და უფრო და უფრო უახლოვდებიან ლედი-სმიტს. იმათ, ვისაც ქალაქში სამუდამო ბინადრობა არა აქვს, ბრძანება მიიღეს ქალაქიდგან გავიდნენ.

**დარმშადტი.** 17 ოქტ. დღეს, დილით, ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში წირვაზედ ბრძანდებოდნენ.

**ლონდონი.** იმპერატორმა ვილჰელმა პოლკოვნიკს ბურნს, უფროსს 1 დრაგუნის რაზმისას, რომელიც ხვალ სამხრეთ აფრიკაში მიდის და რომლის შეფადაც არის იმპერატორი ვილჰელმი, გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც უსურვებს რაზმს კეთილად და უვნებლად დაბრუნებას.

**ლედი-სმიტი.** 18 ოქტ. „რეიტ. სააგ.“ დილის 5 საათსა და 3 წუთზედ ბურებმა დაუშინეს ქალაქს ყუმბარები, მაგრამ ინგლისის ზარბაზნებმა მალე ჩააჩუმეს.


# განცხადებანი

იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

| | | |
|---|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე | 2 | „ |
| ალექსანდრე ყაზბეგი | 2 | „ |
| სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე | 2 | „ |
| პატარა ბიბლიოთეკა | 2 | „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ოცი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—30)

გამოვიდა და იყიდება

წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იმერული

სცენები

შეკრებილი ქ. მესხის მიერ

ფასი 5 კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ მანათად დაეთმობა. (12—12)

დაიბეჭდა და გაიყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში.

თხზულებანი

ა. ს. პუშკინისა

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით

ფასი 50 კაპ.

ახლად გახსნილი საწვრილმანო და საპარტიო სავაჭროდ

# „უნივერსალნი მაღაზია“

კ. ზ. ყარიბოვისა (ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის ბაღთან)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერიო, სათუთუნო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

ეს არის ახლად მიღებული დიდძალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოლგები. | შლიაპები. | სარკეები. | კალოშები. |
| თეთრეული | სარტყლები. | ნესესერები. | სამრეწველო საქონელი. |
| კორსეტები. | მოსართავები. | პორტმონები. | არტურ კრუპპის ქარხნის ლითონეულობის ნაკეთობა. |
| წინდები. | ლენტები ყოველნაირი. | სანობათო ნივთები. | „ალპაკას“ ნახელოვნები, სქლად მოვერცხლებული. |
| ჩულქები. | ბაღდადები. | საქორწილო სამკაულები. | სამზარეულო ჭურჭლები, წმინდა ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის. |
| ფუფაიკები. | ხელსახოცები. | საბავშო ტანსაცმელები. | შუშები ფანჯრებისათვის მოგემიდან. |
| ჟერსე | ყელსახვევები. | ქალების კაბების საკაზმები. | |
| პერჩატკები. | პირბადეები. | ფანჯრის ტულები. | |
| კრუჟევა რუსული და გრან. | აგრამანტები | ქსოვილი სუფრები. | |
| შალები თბილი. | ჯამაჯები. | საბნები ქსოვილები. | |
| შარფები. | რიდიკულები. | ბალიშის პირები. | |
| ყელსახვევი (ბოა) | ალბომები. | ბამბები შალისა. | |
| | | ყოველგვარი ფერისა. | |

ფასები ყველაფერზე სულ მცირეა, უკანასკნელი და გადაჭრილი. მაღაზიას ყოველ კვირას სულ ახალ ახალი საქონელი მოსდის. ჩვენი საქონლის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსადეგობაში შეიძლება ყველა პირადად დარწმუნდეს. (50—12)



სამკურნალო და სასარგებლო ძალლევი

# ქეფირი და კუმისი

ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ თ. კორხანსთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეებთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—90) თ. კორხანი.



!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახ. და სობრანიეს გვერდზედ.

იმემის ჩაი პირველი მოკრეფისა 1898 წლისა მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიოთ

ყოველგვარი საქონელი ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჩინო და საოჯახო ნივთები.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონიის ნივთები საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, ოლტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—85)



# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

...тоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи ...ной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) Коммерческой ариѳметики (банковыя и торговыя операціи),
3) Ариѳметики на счетахъ.
4) Коммерческой ...номіи.
5) Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.

Преподаетъ И. Я. Бр...нъ-фонъ-Бреннеръ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній

## Плата за весь курсъ 60 руб.

Курсъ 3-мѣсячный ...ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по ... Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца

За успѣшн... лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства

Составлен... ...нъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ ... 11 отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетны... ...льныя, 4) вексельныя операціи, 5) торговые товарищ... ...ы и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.

(100—88)



## ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГАЗЕТУ

# „СВѢТЪ“

## „СЪ ПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ“

съ пересылкою и доставкою

**На четверть года:**

съ 1 января по 1 апрѣля . . . . . .
« 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . .
« 1 іюля по 1 октября . . . . . . .
« 1 октября по 31 декабря . . . . .
— 2 р.

**На полгода:**

съ января или съ 1 іюля . . . . . . 4 —

**На девять мѣсяцевъ:**

съ 1 апрѣля . . . . . . . . . 6 —

**На годъ:**

съ 1 января . . . . . . . . . . 8 —

**На иные сроки подписка не принимается.**

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

Адресъ Редакціи: спб. Невскій, 138.

Редакторъ-Издатель В. В. Комаровъ